საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში

ანგარიშის მიმოხილვა 2
ზოგადი ინფორმაცია ასოციაციის შესახებ 2
ასოციაციის მართვის სტრუქტურა და ბიუჯეტი 3
ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 4
ასოციაციაში გაწევრიანებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები/წევრთა რეესტრი 4
ასოციაციის სოციალური დაცვის ფონდის საქმიანობა 9
ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობა 10
ასოციაციის საგანმანათლებლო საქმიანობა 14
ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობა 22
ასოციაციის სარევიზიო კომისიის საქმიანობა 28
ასოციაციის სოციალური პასუხისმგებლობა 30
ასოციაციის ეფექტიანი პოზიციონირების მიზნით განხორციელებული აქტივობები 32
კორპორაციული იმიჯი და 100 წლის იუბილე 35
საერთაშორისო თანამშრომლობა 36
საადვოკატო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფა 40

ანგარიშის მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ზოგად ინფორმაციას ასოციაციის მართვის სტრუქტურისა და მანდატის შესახებ. ანგარიშში ასახულია ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების თაობაზე, მათ შორის საგანმანათლებლო, ეთიკის კომისიის, საკომიტეტო საქმიანობის მიმართულებით, ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობის, ასოციაციის ეფექტიანი პოზიციონირების მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობებისა და სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. ანგარიში ასევე მოიცავს ინფორმაციას სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით შესრულებული პროექტების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია ასოციაციის შესახებ

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (შემდგომში "ასოციაცია") წარმოადგენს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და შექმნილია "ადვოკატთა შესახებ" და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე. ასოციაცია აერთიანებს 9 500 მდე წევრს, საიდანაც 4 702 მოქმედი ადვოკატია.

ასოციაციის მიზანია უზრუნველყოს იურიდიული პროფესიის ერთიანობა, ხარისხიანი და სანდო მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრება იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობისა და საადვოკატო საქმიანობაში მაღალი პროფესიული სტანდარტების უზრუნველყოფით.

ასოციაციის მართვის სტრუქტურა და ბიუჯეტი

ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. ადვოკატთა ასოციაციაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფუნქციათა შესასრულებლად შექმნილია აღმასრულებელი საბჭო, ეთიკის კომისია და სარევიზიო კომისია, რომელთა უფლებამოსილებაც გაწერილია ასოციაციის წესდებითა და “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონით. ასოციაციის მართვის ორგანოა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, რომელიც შედგება 12 წევრისაგან და რომლის შემადგენლობაშიც თანამდებობრივად შედის ასოციაციის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში გაიმართა აღმასრულებელი საბჭოს 18 სხდომა და განხილულ იქნა 165-ზე მეტი საკითხი. აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმები საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე.

ასოციაციის აპარატი აერთიანებს ოთხ ძირითად მიმართულებას: კომიტეტებს, ადმინისტრაციას, სასაწავლო ცენტრსა და ეთიკის კომისიის აპარატს. ასოციაციის აპარატს ხელმძღვანელობს ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი, რომლის უფლებამოსილება გაწერილია “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონითა და ასოციაციის წესდებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასოციაციის აპარატში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად ასოციაციაში დასაქმებულია 27 პირი (23 ქალი, 4 კაცი).

ასოციაცია თბილისის მასშტაბით აერთიანებს ორ, ხოლო რეგიონული მასშტაბით ოთხ ოფისს: ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისსა და კახეთში.



ასოციაციის 2019 წლის ბიუჯეტი, რომელსაც ყოველი წლის ბოლოს ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო, შეადგენდა 1 172 400 ლარს.

ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის მიერ შემუშავდა და დამტკიცდა 2019-2022 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2019-2022 წლის სტრატეგიული გეგმა მომზადდა ევროპის საბჭოსა (CoE) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მომზადების ეტაპზე განხორციელდა გარემოს და ასოციაციის ორგანიზაციული საქმიანობის შეფასება, თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე. შედეგად, გამოვლინდა ასოციაციის გამოწვევები და განისაზღვრა სამომავლო საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები.

ასოციაციაში გაწევრიანებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები / წევრთა რეესტრი




ასოციაციის წევრთა რაოდენობა 2019 წლის მონაცემებით სტატუსის, სპეციალიზაციის, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში
10000
8000
6000
4000
2000
0
9284
4702
4582
4419
5863
2937
6347
2716
2764
3773
2019 წელი
წევრთა საერთო რაოდენობა
მოქმედი წევრი
არამოქმედი
ქალი
კაცი
რეგიონი
თბილისი
სისხლი
სამოქალაქო
საერთო


2017-2019 წლების გაწევრიანების სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზი სპეციალიზაციის შესაბამისად
1200
1000
800
600
400
200
0
669
327
159
183
1059
482
389
188
66
29
14
23
2017 წელი
2018 წელი
2019 წელი
გაწევრიანებულ პირთა რაოდენობა
სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია
სისხლის სამართლის სპეციალიზაცია
საერთო სპეციალიზაცია

წლების განმავლობაში ასოციაციის წევრების მონაცემთა რამდენიმე და არასრულყოფილი ბაზის არსებობა აფერხებდა ადმინისტრირების პროცესს. 2019 წლის იანვარში მონაცემთა ბაზების შეფასების/ანალიზის და კონსოლიდირებული მონაცემთა ბაზის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფმა აღწერა და დაამუშავა 9300-ზე მეტი პირადი საქმე და მოახდინა უშუალო კომუნიკაცია თითოეულ წევრთან, მათი მონაცემების განახლების მიზნით. შედეგად, დაზუსტებული ინფორმაციის და მონაცემების საფუძველზე, შეიქმნა თანამედროვე, დახვეწილი და მულტიფუნქციური ადვოკატთა რეესტრი, სადაც გაერთიანებულია თითოეული ადვოკატის ისტორია გაწევრიანებებისა და უფლებამოსილების შეჩერება/შეწყვეტის მითითებით. ამასთან, რეესტრში დაფიქსირებულია თითოეულ ადვოკატზე 18 ერთეული პერსონალური ინფორმაცია.

აღწერილი 9300-ზე მეტი პირადი საქმიდან დაინომრა თითეული მათგანი და არქივში განლაგდა ანბანის მიხედვით. ამასთან, შეიქმნა პირადი საქმეების ექსელები წლების მიხედვით, საერთო ჯამში სულ შეიქმნა 240 ექსელის ფაილი. ყოველივე აღნიშნული სტრუქტურირებულს ხდის და ამარტივებს წევრის შესახებ ინფორმაციის მოძიებას.

განახლებული ბაზა (პერსონალური მონაცემების დაცვით) განთავსებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე და მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს მარტივად მოიძიოს ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო.



ამასთან, განხორციელდა ადვოკატთა ასოციაციის არქივში დაცული კოლეგიის 1800 პირადი საქმის აღწერა და შეიქმნა კოლეგიის საქმეების ელექტრონული ბაზა. განხორციელდა კოლეგიის საქმეების დაარქივება და მათი განლაგება რიგითობის მიხედვით, რაც ამარტივებს პირად საქმეზე ხელმისაწვდომობას. ელექტრონული ბაზის დახმარებით გამარტივდა კოლეგიის წევრებისათვის ცნობების გაცემა, რადგან ბაზაში ასახულია ყველა ის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ასოციაციის მხრიდან ცნობის გასაცემად. აღნიშნული ბაზების გამოყენება ამარტივებს კოლეგიის საქმეების მოძიებას და მნიშვნელოვნად ზოგავს ადამიანურ რესურსს.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ინიციატივით და გადაწყვეტილებით, წევრები რომელთაც 2005-2010 წლებში ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო შეუწყდათ ასოციაციის წევრობა, სრულად გათავისუფლდნენ საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან.

ასევე, საანგარიშო პერიოდში ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, დამტკიცდა ახალი, წევრთა საჭიროებებზე მორგებული საშეღავათო საწევროს გადახდის წესი და განისაზღვრა კრიტერიუმები, რის საფუძველზეც წევრები სარგებლობენ 50 და 75 პროცენტიანი საწევრო შეღავათებით.


საწევრო შეღავათის სახე და პროცენტული მაჩვენებელი
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
50%
50%
50%
50%
50%
50%
50%
50%
75%
75%
75%
75%
შეღავათის პროცენტული მაჩვენებელი
მრავალშვილიანი მშობლები
მარტოხელა დედის სტატუსის მქონე პირები
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (I და II ჯგუფი)
საპენსიო ასაკს მიღწეული პირები
წევრები, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ როგორც სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული ბიუროების საზოგადოებრივი ადვოკატები
ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსის მქონე პირები
1989 წლის 9 აპრილს ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული პირები
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები
საპენსიო ასაკის მქონე წევრები რომლებიც ამავდროულად საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს რეგიონებში
საპენსიო ასაკის მქონე წევრები, რომლებიც ამავდროულად არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (I და II ჯგუფი)
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (I და II ჯგუფი), რომლებიც ამავდროულად საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ რეგიონებში
წევრები, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში

ასოციაციის სოციალური დაცვის ფონდის საქმიანობა

ადვოკატთა სოციალური დაცვის ფონდი დაფუძნდა 2013 წელს. ფონდის მიზანია ასოციაციის წევრი ადვოკატების სოციალური დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ფონდის მმართველი ორგანოა გამგეობა, რომლიც შედგება 5 წევრისგან და აირჩევა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 3 წლის ვადით.

ფონდის ბიუჯეტი ყოველწლიურად მტკიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ და გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით საერთო შემოწირულობებისა, ასოციაციის საწევრო შენატანიდან არანაკლებ 5% ირიცხება ადვოკატთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის ფონდში.

საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების ფონდმა დახმარება გაუწია 47 ადვოკატს, რომლის ფარგლებშიც სოციალური დახმარების ფონდის ბიუჯეტიდან გაიცა თანხა 49 761 ლარის ოდენობით.



ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობა

აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ასოციაციაში შეიქმნა 15 თემატური კომიტეტი თბილისში და 16 კომიტეტი რეგიონებში (კახეთი, იმერეთი, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი). ამასთან, აღმასრულებელი საბჭოს მიმდინარე წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით, დაფუძნდა სამცხე-ჯავახეთის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტი, რომლის წარდგენაც ასოციაციის თავმჯდომარის მიერ 24 ნოემბერს განხორციელდა ახალციხეში.





2019 წლის მდგომარეობით, თბილისში საკომიტეტო საქმიანობას ახორციელებს 15 თემატური კომიტეტი, კერძოდ:

- ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტი
- სისხლის სამართლის კომიტეტი
- სამოქალქო სამართლის კომიტეტი
- ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი
- ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი
- მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმების კომიტეტი
- კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტი
- შრომის სამართლის კომიტეტი
- ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტი
- მედიაციის და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტი
- ადვოკატის სოციალური დაცვის კომიტეტი
- კორპორატიული ერთობის განვითარების კომიტეტი
- კომუნიკაციის და მედია სამართლის კომიტეტი
- პრობონო სერვისებს განვითარების კომიტეტი
- ახალგაზრდა ადვოკატთა პროფესიაში ინტეგრაციის კომიტეტი

კახეთში, იმერეთში, აჭარაში და სამეგრელო-ზემო სვანეთში საკომიტეტო საქმიანობას ახორციელებს შემდეგი 4-4 თემატური კომიტეტი: ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტი, სისხლის სამართლის კომიტეტი, სამოქალაქო სამართლის კომიტეტი და კორპორატიული ერთობის განვითარების კომიტეტი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტი.

წლის განმავლობაში თბილისში მოქმედი კომიტეტების ფარგლებში ჩატარდა 54 სხდომა, ხოლო რეგიონებში მოქმედი კომიტეტების ფარგლებში 35 სხდომა.

კომიტეტების მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების მიმოხილვა:

<u>ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტი:</u>

2019 წლის განმავლობაში თბილისის კომიტეტში შემოვიდა 81 განცხადება, საიდანაც კომიტეტმა შეისწავლა და შესაბამისი დასკვნა მოამზადა 81-ივე განცხადებაზე. ჯამში თბილისის კომიტეტმა ჩაატარა 15 სხდომა, ხოლო რეგიონულმა ადვოკატის უფლებების დაცვის კომიტეტემა 36 სხდომა. კომიტეტების დასკვნის საფუძველზე მომზადდა წერილობითი დოკუმენტები და გაიგზავნა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში რეაგირების განხორციელების მიზნით.

რეგიონებში მოღვაწე ადვოკატების ჩართულობით, ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში ჩაატარა არაერთი რეგიონული კონფერენცია, ბრიფინგი და გასვლითი

საინფორმაციო შეხვედრა ადვოკატის როლსა და ადვოკატის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის:

- რეგიონული კონფერენცია სვანეთში, თემაზე: „ტრადიციული და მოქმედი სამართალი“;
- რეგიონული კონფერენცია ბათუმში, სადაც თბილისისა და რეგიონების კომიტეტების თავმჯდომარეებმა წარადგინეს მოხსენებები საკომიტეტო საქმიანობისა და რეგიონში პროფესიული უფლებების ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- გასვლითი საინფორმაციო შეხვედრა გორში, ხაშურში, თელავში, ქუთაისში, ბათუმსა და ახალციხეში. შეხვედრებზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა: ადვოკატთა პროფესიული უფლებების ეფექტიანი დაცვა, მოქალაქეთათვის ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები;
- თბილისსა და ქუთაისში მოღვაწე ადვოკატების მხარდასაჭერი ბრიფინგები;

<u>მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტი:</u>

წლის განმავლობაში კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესში, მათ შორის პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მოსამართლეობის კანდიდატებისთვის დასასმელი კითხვების შემუშავების პროცესში. ამასთან, კომიტეტის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განახორციელა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თითოეულ კანდიდატზე შემაჯამებელი შეფასებების მომზადება.

<u>მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტი:</u>

მიმდინარე წელს, კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული მედიაციის შესახებ კანონპროექტის მომზადების პროცესში, როგორც სამუშაო შეხვედრების, ასევე საპარლამენტო ფორმატში.

კომიტეტის ეგიდით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გაიმართა სალონური საუბრები დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებზე (მედიაცია/არბიტრაჟი): ჯამში 6 სალონური შეხვედრა.

კომიტეტმა ჩაატარა მედიაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტზე საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის ინიცირებით კომიტეტმა მონაწილეობა მიიღო სვანეთში გამართულ კონფერენციაში და წარადგინა მოხსენება თემაზე: მედიაციის განვითარება საქართველოში.

<u>შრომის სამართლის კომიტეტი:</u>

კომიტეტმა ადვოკატებთან განახორციელა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ორგანიზება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე

კომიტეტის წევრები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ორგანულ კანონში- შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების დამუშავების პროცესში.

სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერით კომიტეტმა გამართა გასვლითი სამუშაო შეხვედრა, სადაც შემუშავდა კომიტეტის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები.

<u>ადვოკატის სოციალური დაცვის კომიტეტი:</u>

კომიტეტის ფარგლებში შემუშავდა საადვოკატო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირებისათვის დაბეგვრის განსაკუთრებული რეჟიმის განსაზღვრაზსთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი.

ამასთან, კომიტეტი აქტიურად მუშაობს „სახელმწიფო კონპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში ცვლილებების განხორციელების ინიცირების მიმართულებით, რომ გარკვეული წლების უწყვეტი საადვოკატო საქმიანობის სტაჟის მქონე ადვოკატებისათვის მოხდეს კომპენსაციის განსაზღვრა, მსგავსად იმ თანამდებობის პირებისა, რომლებიც სარგებლობენ არსებული კომპენსაციით.

აგრეთვე, კომიტეტის ფარგლებში შემუშავდა ასოციაციის წევრთა კორპორაციული დაზღვევის პაკეტი, რომელიც ინტერესის გამოხატვის მიზნით დაეგზავნათ ადვოკატებს.

<u>სისხლის სამართლის კომიტეტი:</u>

კომიტეტი მიმდინარე წელს ორი მთავარი მიმართულებით საქმიანობდა:

- საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონმდებლობის დახვეწის ხელშეწყობა: სამუშაო შეხვედრების შედეგად, კომიტეტის მიერ გამოიკვეთა ამ მიმართულებით არსებული მთავარი საკანონმდებლო და საპროცესო ნაკლოვანებები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები;
- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია: გარდა აღნიშნულ საკითხზე საკომიტეტო შეხვედრებისა, კომიტეტის წარმომადგენლებები, მოსამართლეებთან და პროკურორებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართული DoJ-ის მიერ ინიცირებულ შეხვედრებში, რომლის ფარგლებშიც მუშავდება წინადადებები ნაფიც მსჯულთა ინსტიტუტის შემდგომი განვითარებისთვის.

<u>კორპორაციული ერთობის განვითარების კომიტეტი</u>

მიმდინარე წლის მაისში კომიტეტის ორგანიზებით ჩატარდა ადვოკატთა ასოციაციის ჩემპიონატი ფუტზალში.

ამასთან, კომიტეტის ჩართულობით ასოციაციის საფეხბურთო ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო კავკასიის ღია ჩემპიონატში, რომელიც ჩატარდა აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში.

აგრეთვე, კომიტეტმა დაიწყო აქტიური მუშაობა ასოციაციის წევრთათვის კორპორაციული პაკეტების/შეთავაზებების მომზადების მიმართულებით.

ასოციაციის საგანმანათლებლო საქმიანობა

მიმდინარე წელს, დაიგეგმა და განახორციელა ღონისძიებები შემდეგი მიმართულებებით:

- **ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა;**
- **მოსამზადებელი კურსი;**
- **პროფესიული ადაპტაციის პროგრამა;**
- **განგრძობადი იურიდიული განათლება;**
- **საგანმანათლებლო მიმართულებით შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება;**
- **საუნივერსიტეტო შეხვედრები: ა) სტუდენტებთან ბ) იურიდიული ფაკულტეტების წარმომადგენლებთან**

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა

2019 წელს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ორჯერ ჩატარდა:

- საგაზაფხულო სესია: გამოცდაზე გამოცხადებული 685 აპლიკანტიდან გამოცდა ჩააბარა 232-მა.
- საშემოდგომო სესია: გამოცდაზე გამოცხადებული 689 აპლიკანტიდან გამოცდა წარმატებით ჩააბარა 303-მა აპლიკანტმა.

კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამასთან (USAID/PROLoG) თანამშრომლობის ფარგლებში, საკვალიფიკაციო გამოცდის პორტალში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება - საკვალიფიკაციო გამოცდებს დაემატა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (უსინათლო და მცირე მხედველობის მქონე) ადაპტირებული ვერსია. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა განახლებული პორტალის საშუალებით ჩატარდა მიმდინარე წლის გაზაფხულზე და ზემოაღნიშნული ადაპტირებული ვერსიით ისარგებლა ორმა აპლიკანტმა.

მოსამზადებელი კურსი

2019 წლის განმავლობაში, ადვოკატთა ასოციაციამ მიიღო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსის 2 ნაკადი:

- მოსამზადედბული კურსის საგაზაფხულო ნაკადზე დარეგისტრირდა 53 მსმენელი. აქედან გამოცდა წარმატებით ჩააბარა 22-მა.
- მოსამზადედბული კურსის საშემოდგომო ნაკადზე დარეგისტრირდა 57 მსმენელი. აქედან გამოცდა წარმატებით ჩააბარა 25-მა.

პროფესიული ადაპტაციის პროგრამა

პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ამოქმედების პირველ წელს, დებულების შესაბამისად, პროგრამა გაიარა 2-მა ნაკადმა - ჯამში 206 მონაწილე. ორივე ნაკადმა დაასრულა 3-თვიანი თეორიული კურსი და ანგარიშგების პერიოდში მიმდინარეობს სტაჟირების 9 თვიანი კურსი დებულებით განსაზღვული პროცედურების შესაბამისად.

საგაზაფხულო ნაკადზე დარეგისტრირებულია 50 მონაწილე:

- სამოქალაქო - 20
- სისხლი - 20
- საერთო - 10

საშემოდგომო ნაკადზე დარეგისტრირებულია 156 მონაწილე

- სამოქალაქო - 91
- სისხლი - 24
- საერთო - 41

<u>განგრძობადი იურიდიული განათლება:</u>

2019 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამა შემუშავდა თავად ასოციაციის წევრთა უშუალო ჩართულობით. კერძოდ, ელექტრონული კითხვარის საშუალებით, რომელიც 500-ზე მეტმა ადვოკატმა შეავსო, გამოკვეთილ იქნა ის პრიორიტეტული თემები, რომელზეც ასოციაციის წევრებს ესაჭიროებოდათ ტრენინგი თუ სხვა სახის საგანმანათლებლო ღონისძიება. აღსანიშნავია, რომ საჭიროებების კვლევის აღნიშნული პრაქტიკა სტანდარტულ პროცედურად დაინერგა და ყოველ წელს განხორციელდება.

ამასთან, 2019 წელს განახლდა და გამრავალფეროვნდა საგანმანათლებლო ღონისძიებების ფორმატი და კლასიკური ტრენინგების გარდა დაინერგა და ჩატარდა ისეთი ფორმატის ღონისძიებები, როგორიცაა: კონფერენციები და საჯარო ლექციები. ამასთან, დაიხვეწა, დამუშავდა და პოპულარიზაცია გაეწია ონლაინ ტრენინგების ფორმატს.

აღსანიშნავია, რომ ასოციაციის ახალი ვებ-გვერდის და მასში ინტეგრირებული ონლაინ კალენდრის საშუალებით, ყველა საგანმანათლებლო ღონისძიება გამოქვეყნებული იყო კალენდარზე, ელექტრონული რეგისტრაციის ფუნქციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2019 წლის განმავლობაში ჩატარდა 188 ტრენინგი, 9 კონფერენცია, 3 საჯარო ლექცია და შემუშავდა 5 ახალი ონლაინ ტრენინგის მოდული. კერძოდ:

188 ტრენინგი შემდეგ თემატიკებზე:

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ზოგადი მიმოხილვა)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები (სამოქალაქო სამართლის საქმეებზე)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები(სისხლის სამართლის საქმეებზე)

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და გასაჩივრების მექანიზმები
- ადვოკატის წარმომადგენლობა მედიაციის პროცესში
- ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრება
- ადმინისტრაციული ხელშეკრულებები
- ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა
- ბათილი გარიგებები და მევახშეობა
- გაკოტრების საქმისწარმოება
- დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით
- ექსპერტიზის დანიშვნა ავტოსაგზაო შემთხვევების დროს
- ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში
- თაღლითობის გამიჯვნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების შეუსრულებლობისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან
- კომერციული დავების განხილვის თავისებურებანი
- კონკურენციის სამართალი
- მედიასთან კომუნიკაციის სტანდარტები
- მედიაციის პროცესში ადვოკატის წარმომადგენლობა
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები
- მორალური ზიანი
- მტკიცების პროცესის აქტუალური საკითხები
- მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში და მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ
- მტკიცებულებათა მოპოვება სისხლის სამართლის პროცესში
- ნაფიცმსაჯულთა სასამართო უნარ-ჩვევები
- პაციენტის უფლებები
- პერსონალურ მონაცემთა დაცვა
- პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით
- პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა
- პრაქტიკული კურსი ადვოკატებისთვის - ეფექტური სამართალწარმოება გენდერული თანასწორობის საკითხებზე
- პრაქტიკული კურსი ადვოკატებისთვის - თანასწორუფლებიანობის ეფექტიანი დაცვა
- პრაქტიკული კურსი ადვოკატებისთვის - რელიგიის თავისუფლების სტანდარტები
- სააღსრულებლო სამართალწარმოება
- საგადასახადო სამართლის აქტუალური საკითხები
- სადაზღვევო სამართალის აქტუალური საკითხები
- საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები
- საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით
- სამართლებრივი წერა და დასაბუთება
- სამართლიანი სასამართლოს უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

- სამართლიანი სასამართლოსა და საკუთრების უფლების ურთიერთმიმართება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით
- სამართლის როლი მდგრადი განვითარების სფეროში - გლობალური პერსპექტივები
- სამეწარმეო სამართლის აქტუალური საკითხები
- სამშენებლო სამართლის აქტუალური საკითხები
- საქმისწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში
- სახელშეკრულებო ურთიერთობების დასრულების სამართლებრივი შედეგები და სახელშეკრულებო ზიანი
- საჯარო სამსახურის შესახებ კანონი და მისი პრაქტიკული გამოყენება
- უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირეული დავების განხილვის პრობლემური საკითხები
- ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინასბასთან ბრძოლის მექანიზმები
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები
- შრომის საერთაშორისო სტანდარტები
- წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართალში და მისი თავისებურებანი
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ევროსაბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა 8 სალიცენზიო კურსი 200 ადვოკატისთვის. ამასთან, მოპოვებულ იქნა ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს დაფინანსება დამატებით 3 სალიცენზიო კურსის ჩასატარებლად)
- ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები (UN Women-ის მხარდაჭერით).

9 კონფერენცია შემდეგ თემებზე:

- სამშენებლო სამართალი
- პროცესუალური და მატერიალური სამართლებრივი საკითხების პრობლემატიკა კერძო სამართალში
- საგადასახადო სამართლის აქტუალური საკითხები
- საწარმოს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები
- კომპლექსური რჩევები ეფექტური საჯარო გამოსვლისთვის
- მტკიცებულებათა მოპოვება და დასაშვებობა
- ღვინისა და ვაზის სამართალი
- უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სისხლის სამართალში
- უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.

3 საჯარო ლექცია შემდეგ საკითხებზე:

- მართლმსაჯულება და ლიტერატურა - ლევან ბერძენიშვილი
- ადვოკატის როლი საზოგადოებაში - დათო ტურაშვილი
- პრეზიდენტ გამსახურდიას მოღვაწეობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში - კონსტანტინე გამსახურდია

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებზე ონლაინ რეგისტრაცია გაიარა და დაესწრო ადვოკატთა ასოციაციის 2070 წევრი. აქედან, ქალი - 1051, კაცი - 1018:



5 ონლაინ მოდული შემდეგ თემებზე (ხელმისაწვდომია ადვოკატის პორტალზე):

- საწარმოს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები
- მტკიცებულებათა მოპოვება და დასაშვებობა
- კომპლექსური რჩევები ეფექტური საჯარო გამოსვლისთვის
- ვაზისა და ღვინის სამართალი
- სოციალური ქსელები და ადვოკატის ეთიკა

<u>საგანმანათლებლო მიმართულებით შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება:</u>

გარდა ზემოაღნიშნული აქტივობებისა, 2019 წლის განმავლობაში საგანმანათლებლო მიმართულებით შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერების მიზნით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება თუ ღონისძიება. კერძოდ:

- პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შეირჩა თეორიული კურსის ტრენერები და ასევე დაფორმირდა სტაჟირების ხელმძღვანელ (მენტორ) ადვოკატთა ბაზა. 2019 წლის მონაცემებით ბაზაში რეგისტრირებულია 409 მენტორი-ადვოკატი.
- ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერებისთვის ჩატარდა 2 გასვლითი სამუშაო შეხვედრა, რომელიც პროგრამის არსისა და მიზნების გაცნობას, ერთგვაროვანი სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვასა და პროგრამის საპილოტე ფაზის გაანალიზება-შეფასებას ისახავდა მიზნად (აქტივობა განხორციელდა ევროსაბჭოს მხარდაჭერით).
- 400-ზე მეტმა მენტორმა ადვოკატმა გაიარა სპეციალური ტრენინგი სტაჟირების პროცესის ეფექტიანად წარმართვის მეთოდოლოგიაში, რაც პროფესიაში შემოსვლის

სტანდარტის ზრდას ისახავს მიზნად (აქტივობა განცორციელდა ევროსაბჭოს მხარდაჭერით).

- ექსპერტ ოტილია პაკურარის მიერ ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიაში გადამზადდა ასოციაციის 50-მდე ტრენერი (აქტივობა განცორციელდა ევროსაბჭოს მხარდაჭერით).
- ვისნია მარინოვიჩის მიერ სასწავლო ცენტრის თანამშრომლებისთვის შემუშავდა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზების სტანდარტული პროცედურების სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც იგეგმება და ხორციელდება ტრენინგები და სხვა ღონისძიებები (აქტივობა განცორციელდა ევროსაბჭოს მხარდაჭერით).
- USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით შემუშავდა 3 ახალი ტრენინგ-მოდული ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა: რელიგიის თავისუფლების სტანდარტები; ეფექტური სამართალწარმოება გენდერული თანასწორობის საკითხებზე; თანასწორუფლებიანობის ეფექტიანი დაცვა. მოდულის შემუშავების შემდეგ, აღნიშნულ თემებზე ჩატარდა ტრენერთა-ტრენინგი და 30 ტრენინგი ადვოკატებისთვის.
- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ჩატარდა 1 სასერთიფიკატო კურსი - შესავალი არბიტრაჟის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში (ბათუმი), 2 სასერთიფიკატო კურსი - ადვოკატის წარმომადგენლობა მედიაციის პროცესში (ბათუმი) და 4 სასერთიფიკატო კურსი - ადვოკატის წარმომადგენლობა მედიაციის პროცესში (ქუთაისი).
- შეიქმნა სამართლის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაამუშავა და განაახლა საგამოცდო პროგრამა.
- თანამშრომლობა განახლდა ამერიკის იურისტთა ასოციაციასთან (ABA), რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ბენჩ-ბარის ფორმატის შეხვედრა ადვოკატების, პროკურორების, მოსამართლეების და ამერიკელი ექსპერტების მონაწილეობით.
- IRZ-თან თანამშრომლობით და ერთობლივი კონკურსის საფუძელზე 2-მა ახალგაზრდა ადვოკატმა გაიარა ერთ თვიანი სტაჟირება გერმანიაში.
- აკრედიტაცია მიენიჭა 10 სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებას

ახალი ვებ პორტალები

USAID/PROLoG-ის მხარდაჭერითა და Idea Design Group-ის ჩართულობით შეიქმნა ახალი ვებ-პორტალი, რომელიც 2020 წლიდან ამოქმედდება და ის საშუალებას მისცემს ადვოკატებს, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეებს, მენტორებს, ტრენერებს და სხვა მომხმარებლებს სრულად ელექტრონული ფორმით მართონ საგანმანათლებლო პროცესი, მათ შორის: პრიორიტეტული ტრენინგ თემების გამოკვეთა, ტრენინგზე რეგისტრაცია, ონლაინ ტრენინგის გავლა, ტრენინგის შეფასება, კრედიტების მონიტორინგი, მენტორად დარეგისტრირება, მენტორებთან გადანაწილება, ინდივიდუალური კალენდრის მართვა, დავალებების მიღება-შესრულება-გაგზავნა, შიდა შეტყობინებების მიღება და გაგზავნა, ბლოგის/ფორუმის წარმოება და სხვა.


საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
სასწავლო-საკომუნიკაციო ვებსისტემა
როლის არჩევა
ადვოკატი
სისტემის ადმინისტრატორი
ლექტორი/ტრენერი
შესვლა
Activate Windows
Go to Settings to activate Windows.

მთავარი
2
1
აქტიური გამოკითხვები
6
ტრენინგებზე რეგისტრაცია
კალენდარი
აქტიური შეფასებები არ არის
12
მიმდინარე კრედიტების რაოდენობა
მენტორად რეგისტრაცია
ჩემი ტრენინგები
დასახელება
პერიოდი
კონფერენცია ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესახებ
03-01-2020
03-01-2020
საჯარო გამოსვლის ხელოვნება
28-12-2019
29-12-2019
ვრცლად
ბოლო შეტყობინებები
დასახელება
მიღების თარიღი
დავით ფიფია
მოგესალმებით პატივცემულო ადვოკატბო
22.11.2019 16:08
სისტემური ადმინისტრატორი
შეტყობინება ადვოკატებს
21.11.2019 14:15
ვრცლად



<u>საუნივერსიტეტო შეხვედრები:</u>

გაიმართა შეხვედრები პროფესიული ადაპტაციის პროგრამასთან დაკავშირებით სხვადასხვა უნივერსიტეტში, მათ შორის:

- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი;
- საქართველოს ღია უნივერსიტეტი;
- დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- სულხან-საბა ორბელიანი სახელობის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს უნივერსიტეტი;
- ევროპის უნივერსიტეტი;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

ამასთან, იურიდიული ფაკულტეტების წარმომადგენლებთან გაიმართა შეხვედრები საგამოცდო პროგრამასთან დაკავშირებით.

ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობა

ეთიკის კომისია, როგორც დისციპლინური დევნის ორგანო ორი მიმართულებით საქმიანობს:

შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ადვოკატის ქცევის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება დისციპლინირების შესახებ
ადვოკატებისთვის რეკომენდაციათა გაცემა ეთიკურ საკითხებზე ადვოკატის წერილობითი ან ზეპირი მომართვისას

ანგარიში მოიცავს კომისიის საქმიანობის ორივე მიმართულების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას, ასევე კომისიის მიერ დისციპლინური წარმოების გარდა განხორციელებულ სხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

გადაწყვეტილებათა სტატისტიკური ინფორმაცია:

2019 წელს (20 დეკემბრის მონაცემებით) კომისიამ მიიღო 153 საჩივარი, ხოლო პარალელურად აწარმოებდა წინა წლებიდან ნაშთის სახით მიღებულ 123 საქმეს. 2019 წელს კომისიის წარმოებაში არსებული 276 საქმიდან 175 საქმეზე დასრულდა წარმოება.

კომისიის მიერ საპროცესო ეტაპზე ჩატარდა 428, ხოლო განხილვის ეტაპზე 106 სხდომა.

153 საჩივარი წარმოდგენილია შემდეგი პირების მიერ:



საპროცესო წარმოების შედეგები:

ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა 64 პირის მოთხოვნა ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრაზე, 34 საქმეზე შეწყვიტა წარმოება, ხოლო 37 საქმეზე დაიწყო დისციპლინური დევნა.



საჩივრები, რაზეც არ დადასტურდა ადვოკატთა მიერ ეთიკური ქცევის სტანდარტების დარღვევა, შეეხებოდა ქცევის შემდეგ სტანდარტებს: კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვა, სასამართლოში ქცევის წესების დაცვა, პროცესის მონაწილის უფლებების პატივისცემა, კოლეგიალობის პრინციპი.

34 საჩივარზე ეთიკის კომისიამ დისციპლინური წარმოება შეწყვიტა შემდეგი საფუძვლების გამო: საჩივრის მომართვისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გაშვება - 2 შემთხვევა, 23 შემთხვევაში საჩივრის ავტორმა გაიხმო საჩივარი, ხოლო 9 შემთხვევაში ეთიკის კომისიამ უარი თქვა საჩივართა განხილვაზე შემდეგი საფუძვლებით: საჩივარის განხილვა არ შედიოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში; არსებობდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე; საჩივარი არ შეიცავდა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით საჩივრისთვის განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.

ეთიკის კომისიამ 37 საქმეზე აღძრა დისციპლინური დევნა და შესაბამისად ეს საქმეები გადაეცა განხილვის კოლეგიებს. დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლებს ძირითადად წარმოადგენს ადვოკატთა მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულებების სავარაუდო დარღვევა: ნდობის პრინციპი (4 შემთხვევა), ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება (2 შემთხვევა), ინტერესთა შეუთავსებლობა (7 შემთხვევა), კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება (16 შემთხვევა), კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საქმის მსვლელობის თაობაზე (18 შემთხვევა), კოლეგიალობა (12 შემთხვევა), კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენების ვალდებულება (4 შემთხვევა), ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და კლიენტისთვის წარდგენის ვალდებულება (8 შემთხვევა), კლიენტის მიერ

ადვოკატისთვის მინდობილი ქონების კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება (3 შემთხვევა), კლიენტის ფულადი სახსრების ადვოკატის პირადი ფულადი სახრებისგან განცალკევებით შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება (1 შემთხვევა), საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ ადვოკატის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას მიღებული საზღაურიდან მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის ექვივალენტური სავარაუდო თანხის გამოქვითვა და საზღაურის სახით მიღებული თანხიდან გამოუმუშავებელი ნაწილის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება (22 შემთხვევა).

განხილვის წარმოების შედეგები:

განხილული 40 საქმიდან 28 შემთხვევაში ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, კერძოდ: 10 ადვოკატს კომისიამ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართა; 17 ადვოკატი გააფრთხილა, ხოლო ერთ ადვოკატს შეუწყვიტა საქმიანობის უფლებამოსილება.

განხილვის კოლეგიის მიერ საქმეთა შესწავლის ეტაპზე, 6 შემთხვევაში ადვოკატი გამართლდა, ვინაიდან არ დადასტურდა პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევა, ხოლო 6 შემთხვევაში წარმოება შეწყდა მხარეთა მორიგების გამო.



საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა 6 გადაწყვეტილება, აქედან ერთ საქმეზე უცვლელი დარჩა გადაწყვეტილება, მეორე საქმეზე გაფრთხილება შეიცვლა კერძო სარეკომენდაციო ბარათით, მესამე საქმეზე განუხილველი დარჩა საჩივარი გასაჩივრების ვადის დაუცველობის გამო, მეოთხე საქმე განსახილველად დაუბრუნდა კომისიას, ხოლო ორ საქმეზე მიმდინარეობს წარმოება.

<u>რეკომენდაციათა სტატისტიკური მონაცემები:</u>

ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატებისთვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციათა წერილობით თუ ცხელი ხაზის მეშვეობით გაცემამ, რომელიც ამოქმედდა 2013 წლის მარტის თვიდან, უკვე დაიმკვიდრა ადგილი ადვოკატთა შორის. 2019 წლის 20

დეკემბრის მონაცემებით კომისიამ 76 რეკომენდაცია გასცა, 63 ზეპირი, ხოლო 13 წერილობითი სახით.

შეკითხვის ავტორ ადვოკატთა ვინაობა კონფიდენციალურია დისციპლინური სამართალწარმოების დებულებით, თუმცა, საგულისხმოა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც წერილობითი თუ ზეპირი რჩევა 2-ჯერ და მეტჯერ მიიღო ერთი და იგივე ადვოკატმა. მსგავსი სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს ეთიკის კომისიის მიერ რეკომენდაციათა გაცემის სასარგებლო როლზე ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში.

<u>კომისიის დამატებითი საქმიანობა:</u>

2019 წლის განმავლობაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ ან მისი აპარატის მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ეთიკის კომისიის პრაქტიკის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა:

კომისიის პრაქტიკის ხელმისაწვდომობისთვის, UNDP-ის მხარდაჭერით, 2019 წლის ნოემბერში კომისიის რჩეულ გადაწყვეტილებათა ელექტრონული კრებული გამოიცა, რომელიც მოიცავს 2006-2018 წლების კომისიის გადაწყვეტილებათა მიმოხილვას. კრებული განთავსდა ასოციაციის ვებ-გვერდზე და მიეწოდა სამართლის ელ. ბიბლიოთეკას.

ადვოკატთა ასოციაციის ახალი ვებ-გვერდისთვის თავიდან დამუშავდა და საძიებო სისტემით განთავსდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები.

განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში ვიდეო ტრენინგისთვის განხორციელდა პრაქტიკის პრობლემური საკითხების გამოვლენა და სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით მომზადდა ონლაინ ტრენინგი, რომელიც დაეთმო ადვოკატის ქცევას სოციალურ მედიაში (USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით).

ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვა:

კომისიამ ხუთი შეხვედრა, მათ შორის გასვლითი შეხვედრა, გამართა პრაქტიკის ერთგვაროვნებისთვის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ადვოკატის კვალიფიციურობის შემოწმების ფარგლები; უფლებამოსილი განმცხადებლის/ხელშეკრულების მხარის საჩივრის დასაშვებობა; სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევა სამოქალაქო სამართლის საქმეზე - მტკიცების ტვირთის გადანაწილება დისციპლინური წარმოებისას; აპეკ-ის მე-8.15 მუხლის მიხედვით კლიენტისთვის დაბრუნებული გამოუმუშავებელი თანხის პროპორციულობის შეფასება მიღებული თანხიდან გამოქვითულ თანხასთან მიმართებით; მტკიცებულებათა ავთენტურობა: მიმოწერის ამონაბეჭდი, როგორც მტკიცებულება; ფარული ჩანაწერი და მისი გამოკვლევის წესი.

შეხვედრების შედეგად დაგეგმილია პუბლიკაციის გამოცა, რომელშიც შეჯამდება კომისიის მიდგომები ერთგვაროვანი პრაქტიკის შექმნისთვის.

ეთიკის კომისიამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის თავმჯდომარესთან, ექსპერტ ჯეიმს მოლიტერნოსთან და მოსამართლე ეკატერინე გასიტაშვილთან ერთად ჩაატარა გასვლითი შეხვედრა, სადაც განიხილეს შემდეგი საკითხები: ეთიკის კომისია, როგორც კვაზი სასამართლო ორგანო და მისი როლი მხარეებთან მოლაპარაკებებში; ეთიკის კომისიის საჯარო ინტერესი მოდავე მხარის კერძო ინტერესის საწინააღმდეგოდ, საზოგადოების ნდობის გაზრდა იურიდიული პროფესიის და შესაბამისად მართლმსაჯულების სისტემის მიმართ; როგორ უნდა დაიცვას ადვოკატთა ასოციაციამ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უზენაესში; სანქციების პროპორციულობის დასაბუთება; მტკიცების სტანდარტი განხილვისა და მოკვლევის ეტაპზე და ეთიკის კომისიის აქტიური როლი საქმის წარმოების პროცესში; კომისიის გადაწყვეტილებებში პრაქტიკის გამოყენების ტექნიკა; კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტისას კლიენტისგან მიღებული თანხიდან დაბრუნებული გამოუმუშავებელი თანხის პროპორციულობის შეფასების უფლებამოსილება (USAID-PROLOG-ის მხარდაჭერით).

ეთიკის კომისიის წევრებისთვის მზადდება სამაგიდე წიგნი, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნება როგორც დისციპლინური წარმოების აქტუალური საკითხები, ასევე კომისიის მიერ 2010 წლიდან შიდა შეხვედრებზე მიღებული ის გადაწყვეტილებები, რაც დღემდე მხარდაჭერილია კომისიის მიერ და დისციპლინური წარმოების სხვადასხვა საკითხზე ადგენს პრაქტიკას.

დისციპლინური წარმოების პროცედურების დახვეწა:

კომისია მუშაობს დისციპლინური წარმოების დებულების ცვლილებებზე USAID-PROLOG-ის პროექტის მხარდაჭერით, რომლის ფარგლებშიც კომისიის წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე ეთიკის კომისიის მიერ საკუთარი ინიციატივით დისციპლინური საქმის წარმოება; საჩივრის ავტორის მიერ დისციპლინური დევნის აღძვრის შემდეგ საჩივრის გახმობის შეთხვევაში უნდა შეწყდეს თუ არა დისციპლინური წარმოება; საპროცესო კოლეგიისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათის გაცემის უფლებამოსილების მინიჭება; კომისიის მიერ წარმოების დასრულებამდე პრევენციული ხასიათის მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება საჩივრის განხილვის პროცესში, როდესაც მოპასუხე ადვოკატი აგრძელებს სადავო ქმედებას; დისციპლინურ საქმეთა გაერთიანების წესის გადახედვა; პროფესიული ეთიკის მარეგულირებელ აქტებში ცვლილებათა საჭიროების განხილვა პროფესიული ადაპტაციის დებულებიდან გამომდინარე.

ეთიკის კომისიამ აღმასრულებელ საბჭოსთან ერთად მიიღო მონაწილეობა გასვლით შეხვედრაში, რომლის მიზანიც იყო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესაძლო ცვლილებათა განხილვა. შეხვედრას მხარს უჭერდნენ ევროსაბჭოსა და USAID-PROLoG-ის პროექტები.

ეთიკის კომისიის საქმისწარმოების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვისათვის შესრულდა ტექნიკური დავალება, რაც მოიცავს ეთიკის

კომისიის საქმისწარმოების სისტემის დეტალურ აღწერას იმ მიზნით, რომ დაინერგოს ელექტრონული საქმისწარმოება.

იურიდიული კლინიკის განვითარება:

სტუდენტებში პროფესიული ქცევის სტანდარტების პოპულარიზაციისთვის ადვოკატთა ასოციაციის ბაზაზე 2016 წლიდან ხორციელდება ეთიკის კლინიკა. კლინიკის მიზანია მაგისტრატურის ან ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს გამოუმუშაოს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც შეესაბამება მაღალ ეთიკურ სტანდარტებს და საადვოკატო საქმიანობის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი მზად იყო ეთიკური საადვოკატო პრაქტიკისათვის. კლინიკა დანერგილია შემდეგ უნივერსიტეტებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; კავკასიის უნივერსიტეტი; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი; სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი; გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, ევროპის უნივერსიტეტი. პროექტი ხორციელდება USAID-PROLoG-ის პროექტის ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება“-ს ფარგლებში.

კლინიკის განვითარებისთვის განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ეთიკის კლინიკის სტუდენტთა მონაწილეობით მომზადდა პრომო კლიპი, რომელიც განთავსდება ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე და მიეწოდება უნივერსიტეტებს
- დაიბეჭდა კლინიკის საინფორმაციო ბროშურები
- ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები უნივერსიტეტებში სტუდენტებისთვის კლინიკის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაწოდებლად

კომისიის საქმიანობის მიმართ ცნობადობის ზრდისთვის დამოუკიდებელ ინსპექტორთან ერთად გასვლითი შეხვედრები რეგიონებში:

გასვლითი შეხვედრების ფარგლებში ეთიკის კომისიის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს კომისიის საქმიანობა, განიხილეს საინტერესო გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები, დისკუსია გამართეს ეთიკის კომისიის როლზე პროფესიის დაცვაში. წევრებმა მიმოიხილეს სტატისტიკაც და ისაუბრეს ეთიკის კომისიის წინაშე არსებულ გამოწვევებზე. შეხვედრები გორსა და ქუთაისში გაიმართა, როგორც პროფესიულ წრეებთან, ასევე უნივერსიტეტებში სტუდენტებთან. გასვლითი შეხვედების მხარდამჭერი იყო USAID-PROLoG-ის პროექტი.

ერთობლივი შეხვედრა დამოუკიდებელ ინსპექტორთან:

ეთიკის კომისიის წევრებმა და აპარატის იურისტებმა დამოუკიდებელ ინსპექტორთან ერთად შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა, სადაც განხილებოდა მოსამართლის ქცევის სტანდარტები სოციალურ მედიაში. კომისიის წევრებმა ამ მიმართულებით წარმოდგინეს კომისიის დამკვიდრებული პრაქტიკა სოციალურ მედიაში ადვოკატის ქცევაზე პროფესიული

რეგულირების გავრცელების შესახებ და ისაუბრეს დისციპლინურ წარმოებაში არსებულ გამოწვევებზე.

ტრენინგები დისციპლინური წარმოების ხარისხის ზრდისთვის:

დისციპლინური წარმოების ხარისხის ზრდისთვის შემდეგი ტრენენიგები ჩატარდა ეთიკის კომისიის წევრებისთვის და აპარატისთვის:

- გასვლითი შეხვედრა თემაზე - პროცესის მართვა, მოსამართლის უნარ-ჩვევები, ეფექტური კომუნიკაცია და კონფლიქტური სიტუაციების მართვა (USAID-PROLoG-ის პროექტი)
- გადაწყვეტილებათა წერის ეფექტურობა (USAID-PROLoG-ის პროექტი)
- ანგარიშების წერის ტექნიკა (ევროსაბჭოს პროექტი, USAID-PROLoG-ის პროექტი)
- სტრატეგიული გეგმის შემუშავება და განხილვა (ევროსაბჭოს პროექტი)

<u>ასოციაციის სარევიზიო კომისიის საქმიანობა</u>

2019 წლის განმავლობაში სარევიზიო კომისია შეიკრიბა 4-ჯერ, იმსჯელა სხვადასხვა საკითხებზე და გამოსცა შესაბამისი დადგენილებები, მათ შორის მნიშვნელოვანია აღინიშნოს:

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მოწვევა ასოციაციის საკუთრებაში არსებული შენობების საბაზრო ფასით შეფასებისთვის. შეფასდა თბილისის და ზუგდიდის რეგიონული ოფისები და განახლდა მათი საბალანსე ღირებულება.

ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის მოთხოვნით ყოველი წლის დასრულების შემდეგ ტარდება ასოციაციის ფინანსური აუდიტი. სარევიზიო კომისია კონკურსის გზით ირჩევს დამოუკიდებელ აუდიტორთა ჯგუფს, რომელიც ამოწმებს ასოციაციის ფინანსურ ანგარიშებს და იღებს დასვნას, რომელიც ქვეყნდება ასოციაციის ოფიციალურ გვერდზე და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებულ პირსთვის. აღნიშნული წესის შესაბამისად, სარევიზიო კომისიის 2019 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე დამტკიცდა დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ შედგენილი ადვოკატთა ასოციაციის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების დასკვნა. აღნიშნული დასკვნიდან აღსანიაშნავია რამოდენიმე მნიშვნელოვან ასპექტი:

- ➢ ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტი წინა წელთან მიმართებაში გაზრდილია 13%-ით, ასევე 13%-ით გაზრდილია ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი. წევრების რაოდენობის მატებასთან ერთად, 41%-ით გაზრდილია საწევრო შემონატანების ოდენობა.
- ➢ მიუხედავად დონორი ორგანიზაციების დაფინანსების 57%-იანი შემცირებისა, რაც უმეტესწილად გამოწვეული იყო ადვოკატთა კორპუსზე მიმართული სხვადასხვა პროქტების და აქტივობების ამოწურვით ანდა დაფინანსების შემცირებით, ასოციაციის აქტივების მთლიანი ღირებულება 31%-ით, ხოლო ფულადი სახსრების ოდენობა წლის ბოლოსათვის 129%-ით გაიზარდა.

ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 910 050 ლარს. რომლის 94 % ათვისებულ იქნა 2018 წლის განმავლობაში ასოციაციის ძირითადი მიმართულებების ხელშეწყობისა და განვითარებისათვის, მათ შორის:

- სასწავლო ცენტრის მიმართულებით 77 756 ლარი, რომელიც შეადგენს სასწავლო ცენტრისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის 86%-ს, დანარჩენი აქტივობები (14%) დაფინანსებულ იქნა დონორების მიერ.
- ასოციაციის კომიტეტების მუშაობისა და თბილისის და რეგიონული შეხვედრების ორგანიზებისათვის 23 000 ლარი.
- რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით 57 000 ლარამდე თანხა იქნა გახარჯული, მათ შორის გარემონტდა და კეთილმოეწყო ასოციაციის მუდმივ სარგებლობაში არსებული ზუგდიდის რეგიონული ოფისი.
- 2018 წელს ადვოკატთა სოციალური დაცვის ფონდი დაეხმარა 46 კოლეგა ადვოკატს, მათი ჯანმთელობის მდგომარეობის გამო, ჯამში გაიხარჯა 50 490 ლარი.
- ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიული გეგმის თანახმად, გაწეულა ხარჯი მედია გეგმის მიმართულებით - 13 365 ლარი.

2018 წელს დონორების მხრიდან მიღებული პირდაპირი დაფინანსება შეადგენდა 193 130 ლარს, რაც მიმართული იყო საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და ეთიკის კომისიის საქმიანობის გაძლიერებისთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება-ადმინისტრირებაში.

ასოციაციის 2019 წლის ბიუჯეტი წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 23%-ით და შეადგენდა 1 172 400 ლარს. წლის განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ძირითადი მიმართულებების მიხედვით გახარჯულია შემდეგი თანხები:

- **საგანმანათლებლო მიმართულება - 115 000 ლარი,** რომელიც სრულად მოხმარდა განგრძობადი იურიდიული განათლების მიზნებს, დონორებთან განხორციელებულ პროექტებში თანამონაწილეობას, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისზიებების ორგანიზებას, ადვოკატთა პროფესიული ჯგუფების შეხვედრების ორგანიზებას.
- **ასოციაციის კომიტეტები - 25 000 ლარი,** რომელიც მოხმარდა კომიტეტების ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზებას.
- **ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი - 60 000 ლარი.** წლის განმავლობაში სოციალური ფონდის დახმარებით ისარგებლა ასოციაციის წევრმა 45-მა ადვოკატმა. ფონდის მიზანია გვერდით დაუდგეს წევრებს, რომლებსაც მძიმე ფინანსური პრობლემები აქვთ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.
- **ადვოკატურის 100 წლის იუბილე,** რომლის ფარგლებშიც ქვეყნის მასშტაბით მოეწყო სხვადასხვა ღონისძიება, რისთვისაც ჯამში წლის განმავლობაში გახარჯულია - **120 000** ლარი.
- **მედია გეგმის ხარჯი - 13 365 ლარი,** რომელიც წლის განმავლობაში ასოციაციაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების და ღონისძიებების გაშუქებას და საზოგადოებისთვის გაცნობა-წარდგენას ემსახურება.

<u>ასოციაციის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები</u>

სოციალური პასუხისმგებლობის პროპულარიზაცია, პრო-ბონო მიმართულების განვითარება და ინსტიტუციონალიზაცია, ასოციაციის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. პრო-ბონო მიმართულების განვითარების მიზნით, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, საზოგადოებისა და ადვოკატთა კორპუსისთვის პოზიტიური სოციალური ეფექტის მომტანი არაერთი პროექტი და ღონისძიება განხორციელდა. კერძოდ:

- ადვოკატთა ასოციაციის თბილისის ოფისში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე უფასო **<u>იურიდიული კონსულტაციის დღე</u>** გაიმართა. უფასო იურიდიულ კონსულტაციაზე დარეგისტრირება და მაღალკვალიფიციური ადვოკატებისგან რჩევის მიღება ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო.
- სასტუმრო „რუმს თბილისში“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია თემაზე: **<u>„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა: გამოწვევები და შესაძლებლობები“.</u>** ღონისძიებას ქართველი ადვოკატები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სფეროში მომუშავე ექსპერტები დაესწრნენ. კონფერენციაზე სპეციალური საჭიროებების მქონე ადვოკატებს და მათი ოჯახის წევრებს სავარძელ-ეტლები გადაეცათ. კონფერენციის დასრულების შემდეგ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დღის ცენტრის - „სოციალური თერაპიის სახლის“ ბენეფიციარების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.
- ბათუმში, ადვოკატთა ასოციაციის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ფარგლებში ქართველი ადვოკატების მონაწილეობით **<u>ველოორბოლა, თუქრ კოლეგებთან ამხანაგური მატჩი და საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა.</u>** ღონისძიებიდან შემოსული თანხა სრულად გადაეცა მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახს.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში გამოიცა **<u>სახელმძღვანელო „Pro Bono პროგრამის დანერგვის შესახებ.”</u>** სახელმძღვანელო პრო ბონო საქმიანობის დანერგვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს მათ შორის: რატომ არის მნიშვნელოვანი ადვოკატის მხრიდან პრო ბონო საქმიანობა, რა საზოგადოებრივი სიკეთე მოაქვს ამ ტიპის მომსახურებას და როგორ უნდა დანერგონ პრო ბონო პრაქტიკა იურიდიულმა ფირმებმა.
- ასოციაცია, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით 2018 წლის ივლისიდან ახორციელებს **<u>პრო-ბონო პროექტს,</u>** რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და პალიატიური მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების უფასო იურიდიულ დახმარებას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში რეგისტრირებულია 31 განაცხადი, საიდანაც დაკმაყოფილდა 20 განმცხადებლის მოთხოვნა და მიმდინარეა 11 საქმე, რაზეც საქმისწარმოება მიმდინარეობს სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში. პროექტის ფარგლებში გამოიკვეთა ძირითადი კატეგორიები: ქონებრივი, საოჯახო და მემკვიდრეობითი ტიპის დავები.

- ასოციაციამ უფასო <u>**იურიდიულ დახმარება გაუწია 20-21 ივლისის მოვლენებისას, პარლამენტთან მომხდარი აქციის დროს დაზარალებულ და დაკავებულ პირებს.**</u> ასოციაციაში შეიქმნა ადვოკატთა ჯგუფი და მხარდაჭერის მიღების მიზნით მოქმედებდა ცხელი ხაზი იმისათვის, რომ ეფექტიანად უზრუნველყოფილიყო დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება.
- პრო ბონო მომსახურებათა შემდგომი განვითარების მიზნით ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით უცხოელი ექსპერტის მიერ განხორციელდა არსებული <u>**პრო ბონო აქტივობების ანალიზი.**</u> შეფასდა საჭიროებები და შემუშავდა რეკომენდაციები მათ შორის, ადვოკატებში პრო ბონო სერვისების პოპულარიზაციის მიზნით.
- ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, თბილისის მერიის მხარდაჭერით, თბილისის ზღვის მიმდებარედ გამწვანების აქცია მოეწყო, რომლის ფარგლებშიც ადვოკატებმა სიმბოლურად <u>**100 ხის ნერგი დარგეს.**</u>

<u>ასოციაციის ეფექტიანი პოზიციონირების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, მაღალი რანგის შეხვედრები, ურთიერთანამშრომლობა და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები</u>

საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაცია განცხადებებისა თუ სხვადასხვა ღონისძიებების გზით, აქტიურ რეაგირებას ახდენდა სამართლის სფეროსთან დაკავშირებულ ქვეყანაში არსებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გამოწვევებისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განწესების პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

- 2019 წლის თებერვალში, ადვოკატთა **<u>ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრებამ მიიღო საგანგებო რეზოლუცია,</u>** სადაც აღნიშნულია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისათვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სიის დაჩქარებული წარდგენის ფორმამ და სიის ზოგიერთი კანდიდატის წინააღმდეგობრივმა გამოცდილებამ სასამართლოს დახურულ სისტემად ჩამოყალიბების საფრთხე შექმნა, რაც აზიანებდა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობას.

  ადვოკატთა ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების რეზოლუციის მიღების კვალდაკვალ, ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული ყველა იმ პროცესში, რომელიც უკავშირდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განწესების ყველა ეტაპის გამჭირვალობის, ღიაობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით წარმართვას. ასოციცია ასევე ჩართული იყო პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში კანდიდატთა მოსმენების პროცესში კანდიდატებისთვის კითხვების დასმის უფლებით.

  ამ პროცესის განმავლობაში ადვოკატთა ასოციაციამ გაავრცელა არაერთი განცხადება თუ მოწოდება, გამართა არაერთი შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსთან, მათ შორის ევროკავშირის ელჩთან, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელთან საქართველოში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის დირექტორთან, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური საკითხების ხელმძღვანელთან და იუსტიციის დეპარტამენტის მრჩეველთან იურიდიულ საკითხებში, ვენეციის კომისიასთან, ევროპის ადვოკატთა და იურისტთა პროფესიულ გაერთიანებებთან. ასევე, ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესთან დაკავშირებით, რომელსაც სხვა მაღლი რანგის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ესწრებოდნენ. კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის სწორად, გამჭირვალედ, ობიექტურად და სანდოდ წარმართვის მნიშვნელობაზე ქვეყნის როგორც დემოკრატიული, ასევე ეკონომიკური განვითარებისთვის.

- <u>ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესა და საქართველოს გენერალურ პროკურორს</u> შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე ადვოკატურასა და პროკურატურას შორის თანამშრომლობის ის მიმართულებები განიხილეს, რომელიც მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით არის გათვალისწინებული. საუბარი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: 2005-2012 წლებში რეპრესირებულ ადვოკატებთან მიმართებით „რეაბილიტაციის კომისიის“ დასკვნებთან დაკავშირებით პროკურატურის რეაგირება და შემდგომი ნაბიჯები; იმგვარი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატებსა და პროკურორებს შორის სათანადო კომუნიკაციას სამართალწარმოების პროცესში და ასევე, თანასწორ მიდგომას ყველა ადვოკატის მიმართ ბრალდებულთა განრიდების თუ საპროცესო შეთანხმების საკითხის გადაწყვეტისას, მართლმსაჯულების ინტერესების შესაბამისად; სასამართლო დარბაზში საერთო იურიდიული ეთიკის სტანდარტების განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით საერთო საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და სხვა.

- <u>ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესა და საქართველოს პრეზიდენტს შორის შეხვედრა გაიმართა.</u> საუბარი შეეხო მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე პროცესებს, მათ შორის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მეოთხე ტალღის ფარგლებში გათვალისწინებულ საკანონმდებლო ინიციატივებს. ორივე მხარის მიერ, აღინიშნა, რომ სანდო სასამართლო სისტემა არის ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველი. საუბარი ასევე, შეეხო იურიდიული პროფესიის გაძლიერების კუთხით ადვოკატთა ასოციაციის მიერ ბოლო დროს განხორციელებულ ინიციატივებსა და ღონისძიებებს.

- ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში <u>საერთაშორისო ბიზნეს კონფერენციას „ხელშემწყობი გარემოს შექმნა მდგრადი ბიზნესისთვის აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში“</u> დაესწრო და საქართველოში არსებულ ბიზნეს გარემოზე, რეგულაციებსა და ინვესტიციების სამართლებრივ უსაფრთხოებაზე ისაუბრა. ასევე, დამსწრე საზოგადოებას გააცნო ის უპირატესობები, რომლებიც საქართველოში ინვესტირებას ახლავს თან.

- ადვოკატთა ასოციაციის ოფისში სასამართლო მხარდაჭერის პროექტის (EU4Justice) ორგანიზებით, <u>კომერციული სამართლის საკითხებთან დაკავშირებით ადვოკატებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა,</u> რომელსაც მოწვეული ექსპერტი, ავსტრიის ყოფილი მოსამართლე დაესწრო. შეხვედრაზე კომერციული დავების მიმართულებით არსებული პრაქტიკა და გამოწვევები განიხილეს.

- ადვოკატთა ასოციაციის თბილისის ოფისში <u>შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსთან სამუშაო შეხვედრა</u> გაიმართა. შეხვედრაზე ქართველ

ადვოკატებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის რეგულაციების ნიუანსებს და მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია ამ სფეროში დაგეგმილ რეფორმებთან დაკავშირებით.

- ასოციაციაში, <u>ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) დირექტორს შ</u>ორის **შეხვედრა** გაიმართა. შეხვედრაზე მხარეებმა ასოციაციაში მიმდინარე რეფორმები და სამომავლო თანამშრომლობის გზები განიხილეს.

- **ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები:**



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია, მხარეებს შორის განათლების ხარისხის განვითარების საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. მემორანდუმის ფარგლებში ასოციაცია განახორციელებს ცენტრის მიერ წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსში დამსაქმებლის კვოტით შესაყვან კანდიდატთა მოძიებას, ცენტრისთვის წარდგენას და ცენტრთან მათი თანამშრომლობის ხელშეწყობას. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ასოციაცია ჩამოაყალიბებს ხარისხის სერტიფიკატს - „მოწონებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ“, რაც ხელს შეუწყობს სამართლის პროგრამის სტუდენტების მიერ ადვოკატის პროფესიისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია, შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობასთან

დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების მომზადების მიზნით ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, როგორც თბილისის ასევე, რეგიონული მასშტაბით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში განისაზღვრა სამომავლო თანამშრომლობის გეგმა და პრიორიტეტები.

ადვოკატთა ასოციაციასა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია ერთობლივი საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი მიზნად ისახავს, ორი ინსტიტუციის თანამშრომლობას საგანმანათლებლო მიმართულებით, ერთობლივი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას.

კორპორაციული იმიჯის ზრდის კუთხით 100 წლის იუბილეს ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

ადვოკატთა ასოციაციის ეფექტიანი პოზიციონირებისა და პოზიტიური იმიჯის ფორმირებისთვის, ასოციაციის საკომუნიკაციო არხების შეფასებისა და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით, ევროპის საბჭოს (COE) მხარდაჭერით შემუშავდა ასოციაციის 2019-2021 წლების საკომუნიკაციო სტრატეგია. საწყის ეტაპზე შეფასდა ასოციაციის საქმიანობა და საკომუნიკაციო არხები, როგორც თვისებრივი, ასევე, რაოდენობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, რის შედეგადაც შემუშავდა კომუნიკაციის სტატეგიული გეგმა.

2019 წელი ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილედ მიიჩნევა. საქართველოს ეროვნულ არქივში მოძიებულ იქნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის დეკრეტი, რომლითაც გაუქმდა რუსეთის იმპერიის ტფილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც რწმუნებულთა ინსტიტუტი და დაარსდა დამოუკიდებელი საქართველოს ნაფიც ვექილთა (ადვოკატთა) საბჭო, რითიც საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელ ქართულ ადვოკატურას. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივითა და აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნა ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილეს საორგანიზაციო კომიტეტი ასოციაციის აღმასრულებელი მდივნის ხელმძღვანელობით, რომელმაც საანგარიშო პერიოდში არაერთი სამართლებრივი, სოციალური თუ კულტურული ღონისძიება გამართა, რომელიც ემსახურებოდა როგორც ღირსშესანიშნავი თარიღის აღნიშვნას, ასევე ასოციაციის კორპორატიული იმიჯის ზრდას საზოგადოებაში. განხორციელებული აქტივობები მოიცავს:

- ცნობილი ქართველი დოკუმენტალისტის თომა ჩაგელიშვილის **<u>დოკუმენტური ფილმი</u>** ქართული ადვოკატურის შესახებ. ფილმის პრეზენტაცია იუბილესადმი მიძღვნილ ოფიციალურ საზეიმო მიღებაზე გაიმართა და ფილმი ასევე გავრცელდა ასოციაციის საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

- ცნობილი ქართველი მწერლის - **<u>დათო ტურაშვილის წიგნი</u>** „თავის უფალი ადამიანი“, რომელიც ავტორმა ადვოკატის პროფესიას მიუძღვნა და რომლის პრეზენტაციაც, ევროსაბჭოს მხარდაჭერით, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიმართა. ამასთან, დაიბეჭდა წიგნის სასაჩუქრე ვერსიები, რომელიც შესაბამის ადრესატებთან დაიგზავნა წიგნის და პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით.

- გამოიცა ასოციაციის **<u>ჟურნალი - „ჩემი ადვოკატი“</u>** განახლებული კონცეფციითა და ფორმატით, რომლის პირველი ნომრის პრეზენტაციაც „წიგნის სახლში“ გაიმართა. ასოციაციის განახლებული ჟურნალი აქტუალურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს არა მხოლოდ იურიდიული წრეებისთვის არამედ ნებისმიერი მკითხველისთვის და როგორც პირველი ასევე, შემდგომი გამოცემები ეხმიანება სოციალური და სამართლებრივი ცხოვრების თანამედროვე გამოწვევებსა და ტენდენციებს. 2019 წელს გამოიცა ჟურნალის ორი ნომერი, მათ შორის ერთი საიუბილეო.

- ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მომზადდა **<u>სოციალური რეკლამა</u>** ადვოკატის როლის შესახებ, რომელიც გავრცელდა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, და გაშუქდა სატელევიზო ეთერით ყველა მთავარი არხის მიერ.

- განხორციელდა **<u>რებრენდინგი,</u>** რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ქართული ადვოკატურის 100 წლის ლოგო და დამზადდა შესაბამისი ბრენდირებული ნივთები.

- საორგანიზაციო კომიტეტმა ასევე უზრუნველყო ქართული ადვოკატურის 100 წლის ლოგოს შემცველი მცირე ვიდეო რგოლის განთავსება თბილისის მასშტაბით მდებარე **<u>სარეკლამო ბილბორდებზე.</u>**

<u>საერთაშორისო თანამშრომლობა</u>

საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციამ გააღრმავა ან საფუძველი ჩაუყარა თანამშრომლობას სხვადასხვა დონორ ორგანიზაციასთან, გამართა ორი საერთაშორისო კონფერენცია და უმასპინძლა არაერთ უცხოელ კოლეგასა და დელეგაციას. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკის, ინსტიტუციური გაძლიერებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ასოციაციის თავმჯდომარემ და მმართველი რგოლის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს მაღალი რანგის შეხვედრებსა და კონფერენციებში, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაიმართა:

- არაერთი წარმატებული აქტივობა განხორციელდა **ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით,** რომელიც უკავშირდება ასოციაციის საგანმანათლებლო მიმართულების გაძლიერებას, პრო-ბონო საქმიანობის ინსტიტუციონალიზაციას (მათ შორის, ასოციაციის დელეგაციის სასწავლო ვიზიტი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში, სადაც 3 ქვეყნის - უნგრეთის, პოლონეთის და ჩეხეთის პრო-ბონო პრაქტიკის გაცნობა მოხდა), საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება-განხორციელებას, ასოციაციის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებას და სხვა. ამასთან, შესაბამისი მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შედეგად, დამტკიცდა ევროსაბჭოს პროექტი, რომელიც მხოლოდ და უშუალოდ ადვოკატთა ასოციაციაზე იქნება კონცენტრირებული და ხელს შეუწყობს 2019-2022 წლების სტრატეგიული გეგმის განხორციელებას. აგრეთვე, 2019 წელს დაიწყო ევროსაბჭოს რეგიონული პროექტი, რომელიც ადვოკატურისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გამოცდილების გაზიარების პლატფორმის დაარსებას ისახავს მიზნად და რომელშიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაციასთან ერთად ჩართულია სომხეთის, უკრაინის, მოლდოვას და ბელარუსიის ადვოკატთა ასოციაციაციები.

- **USAID/PROLoG-თან თანამშრომლობით** განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც ეთიკის კომისიის საქმიანობის გაძლიერებას და ერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარებას, მნიშვნელოვან საკითხებზე ახალი ტრენინგ მოდულების შემუშავება-ჩატარებასა და საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომ სრულყოფას ისახავდა მიზნად. ამასთან, შეიქმნა ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგების ახალი ვებ-პორტალი.

- თანამშრომლობა განახლდა **ამერიკის იურისტთა ასოციაციაციასთან (ABA).** გაიმართა შეხვედრა ABA-ROLI-ის დირექტორთან, სადაც სამომავლო თანამშრომლობის გზები იქნა განხილული. ასევე, ABA-ის მხარდაჭერით ასოციაციამ ჩაატარა ბენჩ-ბარის ფორმატის შეხვედრა.

- თანამშრომლობა დაიწყო ადვოკატთა ასოციაციაციასა და **სოლიდარობის ცენტრს** შორის. თანამშრომლობის ფარგლებში უკვე ჩატარდა შრომის სამართლის კომიტეტის გასვლითი შეხვედრა. ასევე, შეხვედრა გაიმართა სოლიდარობის ცენტრის ხელმძღვანელთან, სადაც სამომავლო თანამშრომლობის გეგმები შემუშავდა.

- კიდევ უფრო გააქტიურდა თანაშრომლობა ევროპის ადვოკატთა ასოციაციასთან და ასევე ჰონგ-კონგის ადვოკატთა ასოციაციასთან. სწორედ აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით საქართველოს ადვოკათა ასოციაციამ **საერთაშორისო იურიდიულ ფორუმს** უმასპინძლა. ღონისძიებას დაესწრნენ იურისტები და ბიზნეს წრეების წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნიდან. საერთაშორისო იურიდიული ფორუმი მიეძღვნა ჩინეთის "ერთი სარტყელი, ერთი გზა" ეკონომიკურ ინიციატივას და მის ფარგლებში საქართველოს როლს გახდეს

აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ეკონომიკური და სამართლებრივი ჰაბი.

- 8 ნოემემბერს, ადვოკატთა ასოციაციამ რიგით მეშვიდე, ყოველწლიური **ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენცია** გამართა, რომელიც ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიების ფარგლებში ასოციაციამ 20-მდე ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტებსა და დელეგაციებს, ისევე როგორც, სხვადასხვა ქვეყნის ელჩებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის CCBE-ის ხელმძღვანელ პირებს უმასპინძლა. კონფერენციაში მონაწილეობა 400-ზე მეტმა დელეგატმა მიიღო.

- 8 ნოემბერს, კლუბ „ანდერვილში“ **ოფიციალური საზეიმო მიღება** გაიმართა, რომელსაც არაერთი მაღალი რანგის მოწვეული სტუმარი დაესწრო. ოფიციალურ მიღებაზე, საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა ადვოკატთა ასოციაციის აქტიური მხარდაჭერისთვის სპეციალური ჯილდო გადასცა ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) პრეზიდენტს, CCBE-ის PECO კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტსა და ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) პრეზიდენტს. ასევე, ქართული იურიდიული პროფესიის გაძლიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ადვოკატთა ასოციაციის სპეციალური ჯილდოთი დაჯილდოვდნენ: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, ევროპის კავშირის ელჩი საქართველოში, ევროპის საბჭოს ელჩი საქართველოში, ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, USAID მისიის დირექტორი საქართველოში, საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი, თბილისის ღია უნივერსიტეტის რექტორი და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე 2009-2017 წლებში. ასევე, სპეციალური სიგელით დაჯილდოვდნენ მრავალი წლის სტაჟის მქონე ადვოკატები.

- ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, ევროპის **ადვოკატთა ასოციაციების პრეზიდენტთა 47-ე წლიური კონფერენცია** გაიმართა. ღონისძიება სამართლის უზენაესობის თემას მიძღვნა და მას ავსტრიის იუსტიციის მინისტრი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ევროკომისიის წარმომადგენლობა და 50-ზე მეტი ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი დაესწრო. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, რომელმაც მონაწილეებს სიტყვით მიმართა და სამართლის უზენაესობის დამკვიდრებისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დამოუკიდებელი და ძლიერი ადვოკატურის როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა.

- ანკარაში თურქულენოვან და მონათესავე ქვეყნების ადვოკატთა გაერთიანებების (**TURK-AV) გენერალური ასამბლეა** გაიმართა, რომელსაც ორგანიზაციის 12 წევრი ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრები დაესწრნენ.

გენერალური ასამბლეაზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: TURK-AV-ში ადვოკატების ინდივიდუალური წევრობა, ორგანიზაციის სერვისების გაუმჯობესება და TURK-AV-ის ფარგლებში საარბიტრაჟო კომიტეტის დაარსება. აღნიშნულ ორგანიზაციაში ინდივიდუალური წევრობა ქართველ ადვოკატებს შესაძლებლობას მისცემს დაამყარონ მნიშვნელოვანი კონტაქტები და მრავალმილიონიანი ქვეყნების ბაზარზე განახორციელონ იურიდიული მომსახურება.

- ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის (IBA) ორგანიზებით ქალაქ სეულში **IBA-ის ყოველწლიური კონფერენცია** ჩატარდა, რომელშიც 130-ზე მეტი ქვეყნის 6000 დელეგატთან ერთად, ასოციაციის აღმასრულებელი მდივნის ხელმძღვანელობით და IBA-ის დაფინანსებით ახალგაზრდა ქართველ ადვოკატთა დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლობის ფარგლებში ახალგაზრდა ადვოკატთა შესარჩევი კონკურსი აპრილში გამოცხადდა და მასში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ყველა ადვოკატს შეეძლო მონაწილეობის მიღება. გამარჯვებული კონკურსანტები IBA-ის საკონკურსო კომისიამ შეარჩია. კონფერენციის ფარგლებში ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა შეხვედრები გამართა IBA-ის პრეზიდენტთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან, სადაც უფრო მჭიდრო თანამშრომლობის გზები და სამომავლო გეგმები განიხილეს. ასევე, ინსტიტუციური თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების მიზნით, შეხვედრები შედგა 30-ზე მეტი ასოციაციის აღმასრულებელ ოფიცერსა თუ სხვა ხელმძღვანელ პირებთან.

- ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო „ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებათა საბჭოს“ (CCBE) მთავარი კომიტეტის **(PECO) სამუშაო შეხვედრაში,** სადაც კომიტეტის წევრებს გააცნო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ბოლო დროს განხორციელებული რეფორმები და ისაუბრა იურიდიული პროფესიის წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ.

- ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებთან ერთად, **ლონდონში "იურიდიული წლის გახსნის"** საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო. საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მიზნით, ასოციაციის თავმჯდომარემ შეხვედრები გამართა უცხოელ კოლეგებთან, მათ შორის ინგლისისა და უელსის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესთან, სადაც მხარეებმა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გზების და გეგმები განიხილეს.

- **ბაქოში ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენცია** "ძლიერი და პრესტიჟული ადვოკატურა - თანამედროვე გამოწვევები" გაიმართა, რომელიც აზერბაიჯანის ადვოკატურის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიებას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაცია დაესწრო. კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ასოციაციის

თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ერთიანი ადვოკატურის მნიშვნელობასა და ქართველი ადვოკატების როლს სამართლიანი და სანდო მართლმსაჯულების სისტემის ფორმირების პროცესში.

- ბაქოში, საქართველოსა და აზერბაიჯანის ადვოკატთა ასოციაციაციების თანაორგანიზებით, <u>სამხრეთ კავკასიის ღია საფეხბურთო ჩემპიონატი</u> ჩატარდა, რომელიც აზერბაიჯანისა და საქართველოს ადვოკატურების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. ტურნირში მონაწილეობა ადვოკატებისგან დაკომპლექტებული პოლონეთის, საქართველოს, ბელარუსის, ირანის, უზბეკეთის, ბულგარეთის, ყაზახეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანის გუნდებმა მიიღეს.

<u>საადვოკატო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი სრულყოფა</u>

საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით, 2019 წლის დეკემბერში, ევროპის საბჭოს (COE) და USAID/PROLOG-ის მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს და ეთიკის კომისიის წევრები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მომზადდა შესაბამისი ცვლილებების პაკეტის პროექტი, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა: პირველ ინსტანციაში ადვოკატის წარმომადგენლობის სავალდებულობა, სტატუსი „ადვოკატი“-ის უკანონო გამოყენება, ფიზიკური პირი ადვოკატების საშეღავათო დაბეგვრის რეჟიმი, ადვოკატის სტაჟიორის უფლებამოსილებები და სხვა.

ამასთან, ასოციაციის შიდაუწყებრივი აქტების ერთმანეთთან და საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით, განხორციელდა არსებული შიდაუწყებრივი აქტების ანალიზი. ანალიზის შედეგად გამოვლენილი კოლიზიების საფუძველზე შეფასდა საჭიროებები და შემუშავდა რეკომენდაციები. შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასოციაცია მომდევნო წლისთვის შეიმუშავებს ცვლილებების პაკეტს, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება ასოციაციის საერთო კრებას.